



ჩინგური საქარტელო, სიმაღლი ჩვენ ვართ ყველა!

# სენაკის მუნიციპალიტეტის თაგისუფალი ბაზარი

2019 წელი №2 16-31 იანვარი (9450) ფასი 50 თეთრი

## მუნიციპალიტეტის მერიაში

### „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“

ორწლიანი პაუზის შემდეგ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ განახლდა. პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდება 5 000-დან 10 000 ლარამდე ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტები. განსახორციელებელ პროექტებს მოსახლეობა, საერთო კრებებზე, კონსულტაციებზე, თავად შეარჩევს. სენაკის მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შეარჩევს პროცედურების დაწყების მიზნით სამუშაო ჯგუფი შეიქმნა. მუნიციპალიტეტის მერიის სხდომა-თა დარბაზში პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციას სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, მერის წარმომადგენელი ადმინისტრაციული ერთეულებში და სამუშაო ჯგუფის წევრები ესწრებოდნენ. პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხა დასახლებულ პუნქტებში მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით განაწილდება: 200 კაცამდე - 5 000 ლარი 400 კაცამდე - 6 000 ლარი 1 000 კაცამდე - 8 000 ლარი 1 000 კაცზე მეტი - 10 000 ლარი. პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები განსაზღვრულია, მათ შორისა - სასმელი წყლის და სარწყავი სისტემების, სანიაღვრე არხების მოწოდება, გზების და ხიდების რეაბილიტაცია; ნაპირსამაგრი სამუშაოები; გარე განათების, სკოლების მიმდებარე ტერიტორიების, კულტურის ობიექტების, სპორტული ინფრასტრუქტურის, მოედნებისა და სკვერების მოწყობა და სხვა. სოფლებში პროექტების შესარჩევად სოფლის კრებების ჩატარებას ადმინისტრაციული ერთეულებში მერის წარმომადგენლები უზრუნველყოფენ. სოფლის კრებები/კონსულტაციები თებერვლის ბოლომდე ქვეყნის ყველა მუნიციპალიტეტში ჩატარდება. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ რომელიც მიზნად ისახავდა სოფლის ტიპის დასახლებების ინფრასტრუქტურის განვითარებას და მოსახლეობის ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღებაში, საქართველოში 2009 წელს დაიწყო და 2017 წელს შეწყდა. სახელმწიფო პროგრამის მოქმედება 2019 წლის 1 იანვრიდან განახლებული სახით აღდგა.



საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 2019 წლის 1 იანვრიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ განახლებული სახით აღდგა. საქართველოს მასშტაბით, ადმინისტრაციულ ერთეულებში, საერთო კრებების ჩატარება დაიწყო. 3700 სოფელში მცხოვრები ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი, პირველ მარტამდე თავად გადაწყვეტს, როგორ დაიხარჯება პროგრამისთვის განკუთვნილი თანხა. დასაფინანსებელი პროექტები სოფლებში მოსახლეობასთან კონსულტაციებითა და სოფლის კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებებით შეირჩევა. მოსახლეობის საერთო კრება პირველად ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეულში ჩატარდა. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საერთო კრებას საქართველოს პარლამენტის წევრი, სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ბერაია, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილე ნინო ვიბლიანი, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბადათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ. ისულაშიც გაიმართა საერთო კრება/კონსულტაცია. განსახორციელებელი პროექტების შესახებ მიღებულ იქნა რამდენიმე გადაწყვეტილება, კერძოდ - ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეულში რეაბილიტირდება წყალსადენის დაზიანებული ქსელი და მოსაცდელი, მოეწყობა სინქარის შეზღუდული ბარიერები, ისულას საბავშვო ბაღი ცენტრალური გათბობის სისტემით აღიჭურვება.

### საერთო კრებები „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 2019 წლის 1 იანვრიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ განახლებული სახით აღდგა. საქართველოს მასშტაბით, ადმინისტრაციულ ერთეულებში, საერთო კრებების ჩატარება დაიწყო. 3700 სოფელში მცხოვრები ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი, პირველ მარტამდე თავად გადაწყვეტს, როგორ დაიხარჯება პროგრამისთვის განკუთვნილი თანხა. დასაფინანსებელი პროექტები სოფლებში მოსახლეობასთან კონსულტაციებითა და სოფლის კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებებით შეირჩევა. მოსახლეობის საერთო კრება პირველად ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეულში ჩატარდა. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საერთო კრებას საქართველოს პარლამენტის წევრი, სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ბერაია, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილე ნინო ვიბლიანი, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბადათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ. ისულაშიც გაიმართა საერთო კრება/კონსულტაცია. განსახორციელებელი პროექტების შესახებ მიღებულ იქნა რამდენიმე გადაწყვეტილება, კერძოდ - ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეულში რეაბილიტირდება წყალსადენის დაზიანებული ქსელი და მოსაცდელი, მოეწყობა სინქარის შეზღუდული ბარიერები, ისულას საბავშვო ბაღი ცენტრალური გათბობის სისტემით აღიჭურვება.



## შესვრები გრძელდება

მორიგი შეხვედრა ორ ადმინისტრაციულ ერთეულში, ნოსირსა და ძველ სენაკში გაიმართა, რომელსაც საქართველოს პარლამენტის წევრი, სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ბერაია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბადათურია, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ. საერთო კრებებზე მოსახლეობამ თავად განსაზღვრა სოფლის პრიორიტეტები.

**ნოსირის** ადმინისტრაციული ერთეულში - დასრულდება მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია; მოწოდება სანიაღვრე არხები; ჩატარდება შიდა საავტომობილო გზების მოხრეშვა-მოშანდაკების სამუშაოები; კეთილმოეწყობა შუა ნოსირის ცენტრი; გადახურება საბავშვო ბაღის, ბიბლიოთეკის შენობები; შემოკავდება შუა ნოსირის სასაფლაოს ტერიტორია; საოთხმართის უბანში ჩატარდება შიდა საავტომობილო გზების მოხრეშვა-მოშანდაკების სამუშაოები; დასრულდება საოღმართის სასაფლაოს შემოღობვითი სამუშაოები; საბესელიოს უბანში რეაბილიტირდება საავტომობილო გზები; კეთილმოეწყობა მოსაცდელი; დამონტაჟდება გარე განათების სისტემა; საკლასიონოს უბანში რეაბილიტირდება საავტომობილო გზები; შემოკავდება სასაფლაოს ტერიტორია.



უშაფათისა და ეკის მცხოვრებლები დაესწრნენ. განსახორციელებელი პროექტების შესახებ მიღებულ იქნა რამდენიმე გადაწყვეტილება:

**ეკიში** - ხანის ადმინისტრაციული ერთეულის სატყეუ-ბუნაოს, სახეხეოსა და საშურდაოს უბნებში ჩატარდება სანიაღვრე არხების ამოწმებითი სამუშაოები; ეკის უბანში მოეწყობა ხიდ-ბოგირი; ხანის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში - ორი ცხაური.

**უშაფათის** ადმინისტრაციული ერთეულში, ლეკოკაიხა და ლეგოგინეს უბნებში ჩატარდება შიდა საავტომობილო გზის მოხრეშვა-მოშანდაკების და სანიაღვრე არხების ამოწმებითი სამუშაოები; მოეწყობა ცხაური.

ეკის ადმინისტრაციული ერთეულში, სახეხეოს უბანში, ჩატარდება მდინარე ეკუსკურზე არსებული ხიდის გამაგრებითი სამუშაოები; საადაპტირება და შრომისკარის უბნებში მოეწყობა ცხაურები, მილხიდები, ჩატარდება კიუვეტის გაწმენდითი სამუშაოები; საცხვიტაოს უბანში მოხრეშვა და მოშანდაკდება შიდა საავტომობილო გზა, ჩატარდება კიუვეტის გაწმენდითი სამუშაოები; კეთილმოეწყობა მოსაცდელი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სენაკის მუნიციპალიტეტისთვის 369 000 ლარია გამოყოფილი. მოსახლეობა თავად ირჩევს სოფლის პრიორიტეტებს, რითაც ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად აქტიურად მონაწილეობს სოფლის განვითარების უმნიშვნელოვანეს პროცესებში.



**ძველი სენაკის** ადმინისტრაციული ერთეულში - სარემონტო სამუშაოები ჩატარდება და საჭირო ინვენტარით აღიჭურვება ძველი სენაკის საბავშვო ბაღის ნაწილი; რეაბილიტირდება სოფლის ამბულატორია; მორეკონსტრუქციის საბავშვო ბაღს ჩატარდება სარემონტო სამუშაოები და აღიჭურვება საჭირო ინვენტარით; სოფელ ქველა სორტაში მოეწყობა ცხაური; რეაბილიტირდება სოფელ კოტიანეთის საბავშვო ბაღის შენობა.

სენაკის მუნიციპალიტეტის ხანის, უშაფათისა და ეკის ადმინისტრაციული ერთეულებში გამართულ საერთო კრებებზე/კონსულტაციებზე სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბადათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, მერის ადმინისტრაციული სამსახურის ადმინისტრაციული ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების უფროსი დავით შონია, მერის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, ხანის,

პროექტები:

**ლექაძამეს** ადმინისტრაციული ერთეულში - სოფელ ბეთ-ლემში მოეწყობა მილხიდები, ჩატარდება შიდა საავტომობილო გზის მოხრეშვა-მოშანდაკების, კიუვეტის გაწმენდითი სამუშაოები; სოფლის ხიდ-ბოგირზე მოეწყობა გაბიონი; ლეგოგინეში მოხრეშვა და მოშანდაკდება ცენტრთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზა, მოწოდება სანიაღვრე არხები; კეკოთსა და ჯოღოვში მოეწყობა მილხიდები; ჩატარდება შიდა საავტომობილო გზის მოხრეშვა-მოშანდაკებისა და სანიაღვრე არხების ამოწმებითი სამუშაოები; რეაბილიტირდება ხიდ-ბოგირი; მოეწყობა ცხაური; ლექაძამე-ლესაჯაიხში მოხრეშვა-წმენდა და მოშანდაკდება ცენტრთან დასასაფლაოსთან დასასაფლაოსთან მისასვლელი გზები, კეთილმოეწყობა სოფლის ამბულატორია და ლექაძამე-ლესაჯაიხს ცენტრის მიმდებარე ტერიტორია; ჩატარდება შიდა საავტომობილო გზის მოხრეშვა-მოშანდაკების, მილხიდისა და სანიაღვრე არხების ამოწმებითი სამუშაოები



**ნოქალაქეის** ადმინისტრაციული ერთეულში - გახომელაში შემოკავდება სასაფლაოს ტერიტორია; ჯიხაში, გახომელაში და ლეგოგინეში მოხრეშვა და მოშანდაკდება სასაფლაოებამდე მისასვლელი გზები; ლეგოგინეში ასევე შემოკავდება სპორტული მოედანი; ძიგიდერში დამონტაჟდება გარე განათების სისტემა და მოეწყობა ხიდ-ბოგირი; ზემო ნოქალაქეში ჩატარდება შიდა საავტომობილო გზის მოხრეშვა-მოშანდაკების სამუშაოები; ნაწილობრივ რეაბილიტირდება საბავშვო ბაღი.

**გუჯეთის** ადმინისტრაციული ერთეულში - მოწოდება სანიაღვრე არხები და ეზო და აღიჭურვება საბავშვო ატრაქციონითა და სხვა საჭირო ინვენტარით; საჯალალოს და ჯიხის უბნებში მოწოდება სანიაღვრე არხები.

სენაკის მუნიციპალიტეტის 14 ადმინისტრაციული ერთეულიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები მოსახლეობასთან კონსულტაციებითა და საერთო კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებებით რვა ადმინისტრაციული ერთეულში შეარჩეულია.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

მუნიციპალიტეტის მერიაში დასასრული

ლიონში მუნიციპალიტეტის მერიაში

ქალაქ სენაკში მცხოვრებ უზუცეს ქალბატონს ზინა ცაავას 100 წელი შეუსრულდა. საუკუნის ქალბატონს ღირსშესანიშნავი თარიღი სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა პირველ მოადგილესთან ერთად...

ნათლისღების დღესასწაული მიულოცა

ნათლისღების დღესასწაულზე სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, მერის პირველ მოადგილესთან გრიგოლ ბაღატიასთან, მერის მოადგილესთან კახაბერ კუპრეიშვილთან, მერის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 46 მრავალშვილიან ოჯახს, 100 წელს გადაცილებულ სამ ხანდაზმულს და დედ-მამით ობოლ სამ მოზარდს ტიბიდულო და სხვადასხვა სახის პროდუქტი გადასცა.



მუნიციპალიტეტის მერის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამსახური

პროექტის „საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დარბაზის“ ფარგლებში

თუ შენ საკუთარი სოფლის განვითარება გსურს, ეს აუცილებლად უნდა წაიკითხო!

იცი თუ არა, რომ შენ მეზობლებთან ერთად შეგიძლია: განიხილოთ თქვენი სოფლის მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური საკითხები და მუნიციპალიტეტისთვის წარსადგენად მოამზადოთ შესაბამისი წინადადებები;



თუ მოახერხებთ საკუთარი ინიციატივით სოფლის საერთო კრების ორგანიზებას და შენ და შენი ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრი, მიხვალთ სოფლის საერთო კრებაზე.

განიხილოთ სოფელში განსახორციელებელი პროექტები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მათ ასახვამდე და შესაბამისად მუნიციპალიტეტს წარუდგინოთ დასაბუთებული შენიშვნები და წინადადებები; განიხილოთ მიმდინარე და უკვე განხორციელებული პროექტები და მუნიციპალიტეტის ორგანოებისთვის წარსადგენად მოამზადო შესაბამისი შენიშვნები და წინადადებები;

თუ არ მოიწვევთ კრებას ან მეზობლები მოიწვევენ და არ მიხვალთ, მაშინ რაც ზემოთ წაიკითხე, ყველაფერი დაივიწყე, რადგან სოფლის საერთო კრება მხოლოდ მაშინაა უფლებამოსილი და ძალის მქონე, როცა მას სოფლის მოსახლეობის სულ მცირე 20% ესწრება. ხელისუფლებასაც მხოლოდ ამ შემთხვევაში ექმნება სრული ვალდებულება მოგისმინოს, პასუხი გაგცეს და შეასრულოს რაც სოფელს უნდა!

ორგანიზება გაუწიოთ სოფლისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში სოფლის ჩართვას და საჭიროების შემთხვევაში, დახმარებისთვის მიმართოთ მუნიციპალიტეტის ორგანოებს; მიიღოთ გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის პეტიციის წარდგენის შესახებ;

გახადე ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებული აქტიურად მოგემსახუროს. სოფლის ძალა, სოფლის ერთობაშია! საერთო კრების რჩეული საერთო კრება უფლებამოსილია თავისი საქმიანობის წარმართვის და მისი ხელშეწყობის მიზნით საკუთარი შემადგენლობიდან აირჩიოს საერთო კრების რჩეული. საერთო კრების რჩეულის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს სოფლის კრების წევრთა არანაკლებ 5%-ს.

განიხილოთ სოფელში არსებული ქონების გაყიდვის საკითხი და მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოს წარუდგინოთ საკუთარი შენიშვნები - უთქვენოდ ქონებას ვერ გაყიდიან; დავალებები მისცეთ თქვენს მიერ არჩეულ საერთო კრების რჩეულს;

საერთო კრების რჩეული უძღვება საერთო კრებას, უზრუნველყოფს საერთო კრების გადაწყვეტილების მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოებისთვის წარდგენას, აგრეთვე ასრულებს საერთო კრების ცალკეულ დავალებებს.

განახორციელოთ ასევე სხვა საკითხებიც, რაც სოფელს აწუხებს. იცი თუ არა, რომ მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან: განიხილონ შენი და შენი თანასოფლელების ერთობლივი გადაწყვეტილება და განიხილონ შედეგების შესახებ დასაბუთებული პასუხი განსახდერულ ვადებში გაცნობონ? მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალდებული გახდება უზრუნველყოს საკუთარი ინიციატივით შენთან და შენს თანასოფლელებთან შეხვედრა და ანგარიშის ჩაბარება წელიწადში არანაკლებ 2-ჯერ.

საერთო კრების რჩეულის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება მომდევნო საერთო კრების შეკრებამდე ვადით. საერთო კრების რჩეულის უფლებამოსილება ავტომატურად გრძელდება, თუ მომდევნო საერთო კრება ახალრჩეულს არ აირჩევს. კრების რჩეულის უფლებამოსილება ავტომატურად შეიძლება გაგრძელდეს ზედისხედ არაუმეტეს 5-ჯერ. მოქალაქეთა მონაწილეობის კანონით განსაზღვრული სხვა ფორმები: პეტიცია, რომლის სახითაც საკრებულოს შეიძლება

იცი თუ არა, რომ მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან სანამ გადაწყვეტილებას მიიღებენ მოგაწოდონ განსახილველად: შენს სოფელში განსახორციელებელი პროექტები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მათ ასახვამდე; სოფლის სახდერების დადგენისა და შეცვლის საკითხები. მაგრამ! ეს ყველაფერი მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში,

ეს ყველაფერი მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში,

აღუქმებლობა და გალამაზება

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ლევან კუპრეიშვილის მისაღებად სენაკში ნახავთ სხვადასხვა პროექტის და ასაკის ადამიანებს. ახალგაზრდა მერი გამორჩეული ყურადღებით ხვდება ხანდაზმულებს. ერთ-ერთი მიღების დროს ის ფეხზე წამოდგა, სიტყვით „ბებო მობრძანდი“ შემომგება. არ ვიყავი ჩვეული თანამდებობის პირებისაგან ასეთი შინაურების ხმარებას. ცოტა არ იყოს მესამეში კიდევ... გავიდა ხანი გულში სასიამოვნოდ დამჩნა შინაური და თბილი მიღება. გავიდა დრო, დღე დღეს მისდევდა, თვეს თვე და ქალაქის ქუჩებში დაიწყო აღმშენებლობის პროექტი. გაიზარდა სატვირთო მანქანები, ბუდელოხერები, მოქალაქეები წერაქითა და ნიშნებით. დაიწყო ქუჩების გალამაზება ახალი ფილაქნების დაგება, მოასფალტება.

საერთო კრების რჩეული

მცენარის მოსვენების პერიოდში (გვიანი შემოდგომა და ადრე გაზაფხული) მავნებლები არ ისვენებენ, ისინი იზამთრებენ ჭურბის, კვერცხის, იმაგოს სახით და გვხვდებიან მცენარის შტოებზე ვარჯზე, ქერქში, ნაპრალებში, ნიადაგში. მათ გასაუვნებელყოფად საჭიროა მავნებელ-დაავადებებისგან დაზიანებული ტოტების ჩამოჭრა, კვირტის ტიპით დაზიანებული კვირტების შეცვლა, მცენარის გასხვლა, ჩამოჭრილი ტოტების და ნახსლავის გატანა და დაწვა, თხილის ქერქიჭამია („ამბროზისი“) ხოჭოს მიერ დაზიანებული შტამბების გამოჭრა. ფოსფორ-კალიუმის შემცველი სასუქების შეტანა მსუბუქი ნაბერით, ნიადაგის ზედაპირული ერთდროული ქიმიური დამუშავება (შეწამლა). ინსექტო-აკარიციდებით. (მინერალური ზეთი სიპკამოლი ან ოვიპრონი 2 ლ ნურედ ლ 150-200 მლ. ზავდება 100ლ/წყალში). ასევე ვახდენთ თხილის ბაღში ბუჩქების ფორმირებას და ამონაყარებისაგან განთავისუფლებას. ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდის მიზნით ნიადაგის ანალიზის შედეგად თხილის კულტურის ქვეშ შეგვაქვს მიკროელემენტების შემცველი კომპლემენტული სასუქები. საჭიროა როგორც ორგანული, ისე მინერალური სასუქების მოვანტვა და ნაკეთება. შესატანი დოზა თეთი მცენარის და ნიადაგის მდგომარეობიდან გამომდინარე ისახდერება. სოკოვანი და ბაქტერიული დაავადებების წინააღმდეგ ხდება ქიმიური დამუშავება სპილენძ-შემცველი პრეპარატებით: კოსაიდი 500 გრ, ან ჩემპიონი -500 გრ. ან იროკო 500-გრ. ან ბორდოს ნარევი 1.5-2 % ზავდება 100ლ/წყალში.

მინდა წარმატება ვუსურვო და მადლობა ვუთხრა შენსაშენი ხასიათისა და უნარის გამომქაველებისათვის.

მერი გვასპლია

# საქირბორტო საკითხთა კვლევები

(იხილეთ შემოკლებით)

1. წერენ როგორც „ნოქალაქევი“ (სამაგიდო წიგნებშიც კი, რომელთაც შეგნებულად არ ვახსენებთ), ისე „ნაქალაქევი“, აგრეთვე „ნაქალაქარსაც“:

ვიდრე ჩვენს მოკრძალებულ მოსახრებას წარმოვადგენდეთ, გ. შალამბერიძის წიგნიდან, „ქართული სწორმეტყველების სწავლების ზოგიერთი საკითხი“ რომ ჰქვია, მოვიხმობთ ასეთ სარწმუნო ინფორმაციებსა (ცნობილ მკვლევართა გამოკვლევებსა) და თვით ავტორის (ბ-ნ გ. შალამბერიძის) სწორ დანახვებს:

„1. „ნაქალაქევი“ (და არა „ნოქალაქევი“) ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილი იხსენებს: „აწ სენაკს ზეით, უნაგირას ძირში, არს ნაქალაქევი, ციხე გოჯად წოდებული“ („საქართველოს ცხოვრება“, IV, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 777).

2. ალექსანდრე ცაგარელს სანკტ-პეტერბურგში 1880წელს რუსულ ენაზე გამოცემული „მეგრული ეტიმოლოგიის“ პირველი ნაკვეთის XII გვერდზე სამჯერ აქვს მოხსენებული „ნაქალაქევი“:

3. „ნაქალაქევი/ნოქალაქევი“ დამოწმებულია იოსებ ყოფშიძის „მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკაში“, რომელიც აგრეთვე რუსულ ენაზე დაიბეჭდა სანკტ-პეტერბურგში 1914 წელს (ნა და ნო პრეფიქსები მეგრულში ერთმანეთს ენაცვლება).

4. „ნაქალაქევი“ ფიქსირებულია აგრეთვე „საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში“ (თბ., 1961, გვ. 96 და 166).

5. გ. თოფურიასა და ივ. გიგინეიშვილის „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონშიც“ (თბ., 1968) სავსებით მართებულად წერია „ნაქალაქევი“:

6. „ნაქალაქევის“ აკრებულზე გამჭვირვალეა: ეს სიტყვა წარმოქმნილია „ქალაქ“ ფუძეზე წინა ვითარების სახელთა მარმობის ნა - ევ აფიქსების დართვით“ (იხ. ა. შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლები“, თბ., 1973, გვ. 134).

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ საეჭვო აღარ უნდა იყოს, რომ ისტორიულად, ტრადიციულად, მორფოლოგიურად, ერთადერთი სწორი ფორმა „ნაქალაქევი“ და არა „ნოქალაქევი“. ამიტომ წერთსა და ზეპირ მტკიცებულებაში (ეურნაღ-გაზუფეში, რადიო - და ტელეგადაცემებში და სხვ.) მხოლოდ ეს სწორი ფორმა უნდა გამოვიყენოთ“ (7,29-30).

ნა-ევ და ნა-არ (//ნა-ალ) პრეფიქს-სუფიქსებით ნა-წარმოებ წინანდელი ვითარების აღმნიშვნელ გეოგრაფიულ სახელებთან დაკავშირებით ზ. ჭუმბურიძე წერს: „ნა პრეფიქსის შესატყვისად მეგრულში გვაქვს ნო. ასე რომ, ნოქალაქევი ნიშნავს „ნაქალაქევი“. ეს სახელი ჰქვია სამეგრელოში ერთ სოფელს, რომელიც წინათ მართლაც დიდი და განთქმული ქალაქი ყოფილა“ (9, 84).

მოკრძალებით აღვნიშნავთ: თუ ქართული ნა პრეფიქსის შესატყვის მეგრულ ნო-ს გამოვიყენებთ, მაშინ გვექნება მეგრული (და არა ქართული) ლექსიკური ერთეული (გეოგრაფიული ადგილმდებარეობის სახელწოდება) ნოქალაქი (და არა ნოქალაქევი), რადგანაც უსუ-

ფიქსოდაც („-ევ“) იგი კარგად გამოხატავს იმას, რისი თქმაც გვინდა. ასე რომ: გვაქვს „ნოქალაქი“ (მეგრ.) და „ნაქალაქევი“ (ქართ.). მართლაც, ნებისმიერი სუნაკელი მეგრულად საუბრისას ასე იტყვის: „მეგურქუ ნოქალაქიშა მივდივარ ნაქალაქევიშა“.

დავასკვნით: ერთადერთი სწორი ფორმა „ნაქალაქევი“ (და არა „ნოქალაქევი“), მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შეიძლება, ნაცვლად „ნაქალაქევისა“, გვეოქვა და გვეწერება „ნაქალაქარიც“, რადგანაც:

ა. ა. შანიძე ბრძანებს: „...ერთისა და იმავე სახელის ფუძისაგან ნა-არ-ითაც შეგვიძლია წარმოვქმნათ ახალი სახელი და ნა-ევ-ითაც: ნა-ევნახ-არ-ი და ნა-ევნახ-ევი, ნა-ქალაქ-არ-ი და ნა-ქალაქ-ევი, ნა-გომ-არ-ი და ნა-გომ-ევი...“ (8,134).

ბ. ლ. კვაჭავაძე წერს: „ზოგჯერ წინა ვითარების სახელი სხვადასხვა სუფიქსის დართვით შეიძლება ერთი და იმავე ფუძისაგანაც ვაწარმოოთ (მაგ., ნაქალაქარი და ნაქალაქევი, ნაყანადარი და ნაყანადევი, ნავენახარი და ნავენახევი“ (4, 125).

გ. „ამ ნაქალაქარის (ნოქალაქევის) გათხრები ამჟამადც გრძელდება“ (1, 56).

როგორც ვხედავთ, გვაქვს ლინგვისტიკურ-გეოგრაფიულად ერთნაირი ღირებულების ორი პარალელური ფორმა (ნა-ქალაქევი და ნა-ქალაქარი), მაგრამ, რადგანაც -ნა-ევ პრეფიქს-სუფიქსიანი სახელი, შედარებით ნა-არ პრეფიქს-სუფიქსიანთან, მომხმარებელთაფართო წრის მტკიცებულებაში ტრადიციულად და სტილურად უპირატესია (ჩვენს შემთხვევაში), უნდა ვთქვათ და ვწეროთ „ნაქალაქევი“.

II. ბერთემი ასეთი დაწერილობითაც გვხვდება „ბეთლემი“: „გიციტო, რომ ერთი შტო (მხედველობაშია დადიანთა - ჟს.) ცხოვრობდა ჭაქვირჯში, მეორე - ხიბულაში, მესამე - ნაქალაქევიში, მეოთხე - ბეთლემში და სხვაგან“ (3, 51); ბეთლემი ქრისტეს დაბადების ადგილი (6, 203); „ბეთლემი გამოქვაბული ხევი (ყაზბეგის რ-ნი) მყინვარწვერის მასივზე, მწვერვალთან სამხრ.-აღმ.-კენ განშტოებულ ბეთლემის ქედზე...“ (6, 268) „ბეთლემი სოფელი ცხაკაიას რ-ნიში“ (ლექსიკონის სოფსაბჭო), ოდიშის ვაკეზე, მდ. ტეხურის მარჯვ. ნაპირას, მდ. გურძემის შესართავთან...“ (6, 268).

მორტალები ვიტყვი: „ბეთლემი“ ის ადგილია, სადაც ქრისტე იშვა (და გამოქვაბული ხევი, ყაზბეგის რაიონში) და არა სენაკის ერთ-ერთი სოფლის სახელწოდება.

„ბერთემი“ (და არა „ბეთლემი“) გვხვდება გ. ელიაშვილის წიგნში (2, გვ. 121, 122, 123). გ. ელიაშვილი იმეორებს გ. ხუხუნს: „ბერთემი... (ბერის თემი), სოფ. „ბერი მისულა აქ და დასახლებულა. აქ მას ბაღები გაუშენებია, წყაროს წყალი ამოუყვანა და ადგილი „წაკორტავა“, წყაროტად უქცევია. შემდეგ ეს წალკოტი ადგილი დადიანთა უფლისწულებს თავიანთ სამეფოდრო სამფლობელოდ გაუხდიათ“ (2, 123).

ვფიქრობთ, უპირაინ იქნება იმის აღნიშვნა, რომ სოფელში დიდ თემად მცხოვრები ერთიანი წეს-ჩვეულებების მქონე ხალხი, თემი, წინამძღოლად, თემის ხელმძღვანელად (უფროსად), აირჩევა ამ ჩამოსახლებულს,

მით უმეტეს, რომ იგი ბერი იყო, ამ ადგილმდებარეობის წალკოტად გადაქცევი. რადგანაც ეს ბერი ამ კუთხეს (თავის კუთხეს, თემს, თუ შეიძლება ასე ითქვას) ემსახურებოდა, ხალხი ამ ადგილს ბერის კუთვნილებად მონათლავდა, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ადგილს ბერთემს (ბერის თემი) უწოდებდა.

შენიშვნა: აღნიშნულის გასამაგრებლად მოვიხმობთ ასეთ შეუვალ არგუმენტს: „თემი I. (ისტ.) ქვეყნის ნაწილი, მხარე, კუთხე, გაერთიანებული გეოგრაფიულ-ეთნიკური ნიშნის მიხედვით... ერთად მცხოვრები მოსახლეობა, - სოფელი, საზოგადოება, დიდ თემად ცხოვრება. 2. (ისტ.) საქართველოს მიანეთარების შემდგომ მოსახლეობა, რომელსაც ჰყავდა თავისი უფროსი, ჰქონდა თავისი წეს-ჩვეულება. ფშაველთა თემი - თემის დროშა - თემის ყრილობა“ (5, 239).

დავასკვნით: სენაკის რაიონის ამ სოფლის სწორი სახელწოდებაა „ბერთემი“ (და არა „ბეთლემი“), რადგანაც ადრე გვექონდა „ბერის თემი“, სადაც „ბერი“ სუბსტანტიური (მართული) მსახლველია, „თემი“ კი - საზღვრული. ენის განათარების შემდგომ საფეხურზე „ბერის თემი“ გაკომპოზირდა: სუბსტანტიური მსახლველი ფუძის სახით შეერწყა (შეეხორცა) საზღვრულს და ორივე ერთად მოკვდა გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გამოხატველი ერთცნობიანი კომპოზიტიური სახელწოდება „ბერთემი“ (ბერ-ის) თემი); შდრ.: „ბაკურ (ის) ციხე“ და სხვ. მისთ.

„ბერთემი“ გვანტერესებს იმ მხრივაც, რომ „აქ დამარხულია საქართველოს ერთ-ერთი ბრძენი, განმანათლებელი ნიკო დადიანი თავისი მეუღლით. აქვე თავის ცხოვრების გარკვეული პერიოდი გაატარა ჩვენმა სასიქადლო მწერალმა და დრამატურგმა შალვა დადიანმა“ (2, 121).

გამოყენებული ლიტერატურა: 1. ნ. ასათიანი, მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს ისტორია, VIII კლ. სახელმძღვ., თბ., 1993. 2. გ. ელიაშვილი, სენაკის რაიონის ტოპონიმია, თბ., 1989. 3. ზაქარაია, ნოქალაქევი - არქეოლოგია, თბ., 1982. 4. ლ. კვაჭავაძე, ქართული ენა, ნაწ. I, თბ., 1981. 5. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1986. 6. ქართული საბჭოთაენციკლოპედია, ტ. II, თბ., 1977. 7. გ. შალამბერიძე, ქართული სწორმეტყველების სწავლების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1984. 8. ა. შანიძე „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“, I, მორფოლოგია, თბ., 1973. 9. ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბ., 1966.

\* \* \*

ფრჩხილებში მიძიის წინ დასმული ციფრი აღნიშნავს „გამოყენებულ ლიტერატურაში“ წარმოდგენილ წყაროს, მომდევნო კი - მის გვერდს. თუ რამდენიმე ციფრია მოხმობილი გვერდის მისათითებლად, მაშინ „გვ.“ გვიწერია.

პრ(ფ)მ(რ)ო  
შ(რ)ა ს(რ)ლია

## განხილვა

## დათო ლაშქარაძე



ერთი წლის შემდეგ განხილვა? - ეს სიტყვა არ შეესაბამება შენდამი ჩვენს დამოკიდებულებას: მივიწყებულს თუ გაიხსენებენ. ჩვენ კი მუდამ გვახსოვხარ, განუშორებლად არის ჩვენთან შენი აქ არყოფნის ტკივილი და კეთილი საქმეები, ამ ქალაქში რომ გიკეთებია: ახლობლების, მეგობრების, თანაქალაქელების მიმართ ქველმოქმედება, ერთგულება და სიყვარული ჩვენს მიმართ. „აქაურ“ ამბებზე გელაპარაკოთ? - შენ ხომ „ხემოდან“ დაგვეწერე და იცი ყველაფერი! შენი ოჯახი სახელმწიფო უფროსიღდება შენს სახელს, სანთლებს, ყვავილებს, ცრემლებს არ გაკლებენ ოჯახის წევრები, მეგობრები კი ხშირად ვიკრებებით და ტკივილიანი მონატრებით ვლაპარაკობ შენზე, ჩვენო ლიდერო, ჩვენო გოლიათად დაბადებულ დათო! ხშირად, როცა მეგობრებში კეთილი საქმეების შესახებ ვსაუბრობთ, შენ ვნატრობ. დათო რომ აქ იყოს, ხომ მორალურად, ფიზიკურად, ეკონომიკურად წაუდგებოდაო ყველაფერს! ისეთი ნათელი კვალი დატოვებ, უკეთესი რა უნდა შეძლოს მოკვდავმა!

არ გივიწყებთ, გაფასებთ, გვიყვარხარ!  
იყავ ნათელში, ჩვენო კეთილო მეგობარო!

მამ(ბ)რძე

საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები მწუხარებას გამოთქამენ

## რენადა შონიას

გარდაცვალების გამო და სამიძიარს უცხადებენ განხილვების ოჯახს

## ბრძელბა სელმოწერა

სენაკის მუნიციპალიტეტის გაზეთი „კოლხეთი“ 2018 წლის მაისში 95 წელი მიათვალა. მისი მრავალწლიანი არქივი და გაზეთის ფურცლები მრავალ საინტერესო და ისტორიულ კორესპონდენციას ინახავს.

თითზე ჩამოსათვლელია არათუ რეგიონალური, არამედ რუსთაველი გაზეთები, რომლებიც გაუძლია მძაფრ კატაკლიზმებს, რაშიც დიდი წვლილი შეუძღვას როგორც გაზეთის შემთქმელები მუსაყბას, ასევე ადგილობრივი სელისუფლებები.


„კოლხეთის“ დამაარსებელი ნიშანი იყო და არის ერთგული სულისკვთება, დაფასება მშრომელი ადამიანებისადმი, პროფესიონალიზმში, ზრუნვა ახალგაზრდობის დონეზელი აზრდობისადმი, მშობლიური სანახების, ისტორიის, კულტურის, სელონების სეგროში მიმდინარე პროცესებისადმი.

წლებით დატვირთული, გამოცდილი „კოლხეთი“ კვლავაც რჩება მუნიციპალიტეტის შემთავად.

გრძელდება სელმოწერა გაზეთ „კოლხეთი“, გაზეთის სიცოცხლისუნარიანობას ერთგვარად განსაზღვრავს სელმოწერითა რაოდენობა. ერთი წლით სელმოწერის დირუბულება 12 ღანია.

გვერთა, ჩვენი სელმოწერები, სენაკელები კვლავაც უერთგულებენ 95 წლის გაზეთს.

გამოწერეთ მუნიციპალიტეტის შემთავად. გწამდეთ, რომ ამით თქვენ დიდ წვლილს შეიტანთ ბეჭდური მედიის განვითარების საქმეში.



გვერთა, ჩვენი სელმოწერები, სენაკელები კვლავაც უერთგულებენ 95 წლის გაზეთს.

გამოწერეთ მუნიციპალიტეტის შემთავად. გწამდეთ, რომ ამით თქვენ დიდ წვლილს შეიტანთ ბეჭდური მედიის განვითარების საქმეში.

სარედაქციო კოლეგია მთავარი რედაქტორი ნინო სარტიანი რედაქტორი მამია ბაღატიანი კორესპონდენტები: მანია ბერბაია, მარიკა მიქაბერიძე ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი შუშანიკა ჩაჩიკაია	რედაქციის მისამართი: სენაკი, ჭავჭავაძის ქ. № 103 ტელ: 276150 რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს. ინდექსი 66529	რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში რეგისტრაციის № 56/7-17 გაზეთი კომპიუტერზე მომზადდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქ. ფოთში შპს „ირიდა“-ს სტამბაში ქ.ფოთი წმინდის №4 ტელ: 5 (493) 22 24 33
---	--	--

